ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1745233

ნომერი: AR1287948

თარიღი : 20.02.2015

გაცემის თარიღი : 22.02.2015

გაცნობის თარიღი : 22.02.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , N 110ა (ნაკვ.01/016) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ გოგიაშვილი პ/ნ 01003009559
- თბილისი ზ.ფანასკერტელის ქ. N 6 ბ. 212

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 713732
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 29.05.2013

ქ. თბილისის მერიის სსიპ -ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურ 2015 წლის 20 თებერვალს №AR1287948 განცხადებით მომართა მოქ.მიხეილ გოგიაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, კახეთის გზატკეცილზე #11ა-ში (ნაკვ.01/016), მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ღვინის ქარხანა) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2014 წლის 23 სექტემბრის №ბ-12/14261721-16 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევების წერილობითი დადასტურებას.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოსმთავრობის 24.03.09 წ. №57 დადგენილების 62-ე მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტისთანახმად, „ქ. თბილისში (გარდა V კლასის

შენობა-ნაგებობებისა) თუ წარმოებული მშენებლობისშედეგად სამშენებლო დოკუმენტში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალნებართვას, თუმცა სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და დამკვეთს უარი ეთქვა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე, დამკვეთის მიერ ექსპლუატაციაში მიღებაზეუარის თქმისშესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მშენებლობის ნებართვისგამცემ ორგანოში წარდგენის შემდეგ აღნიშნული ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობისნებართვის გაცემის გარეშე უკვე განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობასა და მისი დასაშვებობის დადასტურებაზე. ასეთ შემთხვევაში, მშენებლობისნებართვის გამცემი ორგანოს მიერ შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტისაგან განსხვავებით,ნაწარმოები მშენებლობის დადასტურება ხდება წერილობითი ფორმით. განხორციელებულიმშენებლობის გათვალისწინებით მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ შესაძლებელიამოთხოვნილ იქნეს დამატებითი დოკუმენტაცია. დადასტურების წერილი მშენებლობის ნებართვისგანუყოფელი ნაწილია და უნდა დაერთოს ამ დადგენილებით განსაზღვრული სამშენებლოდოკუმენტის ყველა ეგზემპლარს.“

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

1. სამსახური ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, კახეთის გზატკეცილზე #11ა-ში (ნაკვ.01/016), მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ღვინის ქარხანა) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2014 წლის 23 სექტემბრის №ბ-12/14261721-16 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშნებელობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობას და მათ დასაშვებობას ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.
2. წინამდებარე წერილობითი დადასტურება განიხილება პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე სამსახურის 29.05.2013 წ №713732 ბრძანებასთან ერთად, წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის განუყოფელ ნაწილს და უნდა დაერთოს სამშენებლო დოკუმენტის ყველა ეგზემპლარს.
დამატებით გიგზავნით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის 20.02.2015 წლის №2771045 წერილს. (იხ. დანართი)

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.